



WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #30

იანვარი, 2014

გამოშვებაში  
წაიკითხავთ

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ მოქალაქის  
განახლებული პორტალის - MY.GOV.GE პრეზენტაცია  
გამართა

1 მოქალაქის  
განახლებული  
პორტალის -  
MY.GOV.GE  
პრეზენტაცია

1

2 NATO-ს  
პროგრამის  
ფარგლებში  
გამართული  
ტრენინგო

2

3 CISA -  
ინფორმაციული  
უსაფრთხოების  
სერტიფიცირებულ  
ი აუდიტორები

3

4 ინფორმაციული  
უსაფრთხოებასთან  
დაკავშირებული  
რეკომენდაციები  
საქართველოს  
პარლამენტს

4

4 სემინარი და  
მონაცემების  
შესახებ

4

5 კომპანია HP-ის  
სემინარი  
ინფორმაციული  
უსაფრთხოების  
საკითხებზე

5

5 FACEBOOK-ზე  
მოქალაქის  
პორტალის  
გვერდი  
ამოქმედდა

5



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ სასტუმროში „შერატონ მეტეხი პალასი“ მის მიერ შემუშავებული მოქალაქის პორტალის MY.GOV.GE განახლებული ვერსიის პრეზენტაცია გამართა.

სააგენტოს მიერ უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების შედეგად მთლიანად შეიცვალა მოქალაქის პორტალის როგორც ვიზუალური, ისე ფუნქციონალური ნაწილი. დამატარა არაერთი ახალი ელექტრონული

სერვისი. MY.GOV.GE-ის განახლებული დიზაინი დღეისათვის მსოფლიოში ერთ-ერთი პოპულარული მიმართულებების - „მეტრო სტილის“ პრინციპზეა აგებული, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს სახლიდან თუ სამუშაო ადგილიდან გაუსვლელად, მარტივად და მოხერხებულად ისარგებლოს მისთვის სასურველი სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის ელექტრონული მომსახურებით. განახლებული მოქალაქის პორტალით სარგებლობა ასევე შესაძლებელია ტაბლეტებისა და სმარტფონების გამოყენებით.

განახლებული მოქალაქის პორტალის პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელები, რომელთა სერვისებიც განთავსებულია პორტალზე, დიპლომატიური კორპუსისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო აქტიურად მუშაობდა Microsoft-სა და HP-სთან ერთად მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში არსებული მონაცემების ურთიერთგაცვლის თანამედროვე მოდელის აგება. ამან შესაძლებელი გახადა შექმნილიყო ვებპორტალი - ერთ ონლაინ რესურსში თავმოყრილი სახელმწიფო ელექტრონული სერვისების მოძიებისა და გამოყენების შესაძლებლობა (გაგრძელება გვ.2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge




www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge



www.eAuction.ge  
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1)

მოქალაქის პორტალით **MY.GOV.GE** სარგებლობისთვის მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს როგორც ახალი პირადობის მოწმობა, ისე მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომლის დარეგისტრირებაც ერთჯერადი პროცედურის გავლით იუსტიციის სახელმწიფო შესაძლებელია. ამასთან, პორტალის შესაძლებლობებით სრულად სარგებლობისთვის სისტემაში შესასვლელად რეკომენდირებულია ახალი პირადობის მოწმობის გამოყენება.

მოქალაქის პორტალზე მომხმარებელი რამდენიმე მარტივი კომბინაციის განხორციელებით მიიღებს სხვადასხვა სახის მომსახურებას - იქნება ეს პიროვნებასთან (პასპორტი, სხვადასხვა სახის მოწმობები, გვართან დაკავშირებული საინტერესო ინფორმაცია), ქონებასთან, სოციალურ მომსახურებასთან, ჯანდაცვასთან ან ბიზნესის წამოწყებასთან დაკავშირებული პროცედურები თუ კომუნალური, სხვადასხვა სახის ჯარიმებისა და სხვა გადასახდელების გადახდა. ყველა მომსახურება შესაბამისი კატეგორიების მიხედვითაა დალაგებული, რაც ამარტივებს სასურველის არჩევას. მომხმარებელს ასევე შესაძლებლობა აქვს მისთვის საჭირო ყველა ის მომსახურება, რომელსაც ხშირად იყენებს, საკუთარი შეხედულებისამებრ განათავსოს პირად გვერდზე. დღეისათვის პორტალზე განთავსებულია 70-ზე მეტი ელექტრონული მომსახურება.

მნიშვნელოვანია მოქალაქის პორტალის როლი ღია მმართველობის ინიციატივის განხორციელების მიმართულებითაც. პორტალზე განთავსებულია შესაბამისი სექცია, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან ელექტრონულად გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია და პასუხიც პორტალზევე მიიღოს.

„მოქალაქის პორტალი **MY.GOV.GE** - ეს არის თქვენი ელექტრონული მთავრობა. პორტალის ფუნქციონირების პრინციპებია: სიმარტივე, მოქნილობა და უსაფრთხოება. პორტალის ახალი ვერსიის გაშვებით ჩვენ კიდევ უფრო მოსახერხებელი გავხადეთ მოქალაქეს, ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა. პორტალის მეშვეობით მოქალაქეებს ვთავაზობთ სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ყველა ელექტრონული სერვისის ერთი ფანჯრის პრინციპით გამოყენების შესაძლებლობას. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, მაგალითად, სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად შეიცვალოს მისამართი, განაახლოს ქონების ამონაწერი, ელექტრონულად გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია ან დაარეგისტროს კომპანია და წამოიწყოს ბიზნესი“, - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

## მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლები ნატოს პროგრამის - მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ფარგლებში ტრენინგების მორიგი ციკლი ჩაატარეს



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო წარმატებით იმკვიდრებს ადგილს საერთაშორისო ასპარეზზე. სააგენტოს მიერ ელექტრონული მმართველობის, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურისა და ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით ჩატარებულმა სამუშაოებმა და არაერთმა წარმატებით განხორციელებულმა პროექტმა სააგენტოს ექსპერტებს უკვე მოუტანა საერთაშორისო აღიარება.

სხვა საერთაშორისო პარტნიორებს შორის მონაცემთა გაცვლის სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან (NATO). ამ ორგანიზაციის პროგრამის - მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ფარგლებში გამართულ ტრენინგებში მიწვეული ექსპერტებისა და ტრენინგების სტატუსით სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის

სამმართველოს წარმომადგენლები 2012 წლიდან მონაწილეობენ.

ინფორმაციული უსაფრთხოების შესავალი, კიბერ თავდაცვის მექანიზმები, ვებგვერდებისა და პორტალების უსაფრთხოება, ქსელის მონიტორინგი და დაცვა, კრიპტოგრაფია, კიბერ ინციდენტების აღმოჩენა, რეგისტრაცია, ანალიზი და პრევენციის ზომები - ეს ის საკითხებია, რომლებშიც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებს შესაბამისი მაღალი კვალიფიკაცია გააჩნიათ და ცოდნასა და გამოცდილებას ნატოს პროგრამის ფარგლებში უცხო ქვეყნების წარმომადგენლებს უზიარებენ. სააგენტოს წარმომადგენლებმა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თურქეთის დედაქალაქ ანკარაში, შუა აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის (METU) ინფორმატიკის ინსტიტუტში 2013 წელს უკვე ჩაატარეს 3 ტრენინგი ავღანელი, მაკედონიელი და ჩერნოგორიელი სისტემური და ქსელის ადმინისტრატორებისთვის (გაგრძელება გვ. 3)

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2)

2014 წლის 20-21 იანვარს სააგენტოს წარმომადგენლები კვლავ მიიწვიეს ტრენინგების ჩასატარებლად. ამჯერად სწავლება შესაბამისი პროფილის მოლდოველ სპეციალისტებს ჩაუტარდათ, სასწავლო კურსის თემა კი ინფორმაციული უსაფრთხოების გარდა, უკვე კიბერ უსაფრთხოების საკითხებსაც მოიცავდა.

„21-ე საუკუნეში კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა და ეს გამოწვევა დგას პრაქტიკულად ნებისმიერი ქვეყნის წინაშე. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოება. ჩვენს ორგანიზაციაში არსებული სტრუქტურა CERT.GOV.GE წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით ინფორმაციულ და კიბერ უსაფრთხოებაზე მომუშავე მთავარ ორგანოს. შესაბამისად, ჩვენს პერსონალს აქვს ის კვალიფიკაცია, ცოდნა, გამოცდილება და საერთაშორისო აღიარება, რომელიც საჭიროა თანამედროვე გამოწვევებთან გასამკლავებლად.“ - **ირაკლი ლომიძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს პერმანენტული მონაწილეობა ნატოს პროგრამის - მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში განპირობებულია საქართველოს, როგორც ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებში წარმატებული გამოცდილების მქონე ქვეყნის რეპუტაციით.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ გვერდებზე: [www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge) ; [www.cert.gov.ge](http://www.cert.gov.ge)

## მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლება ინფორმაციული უსაფრთხოების სერტიფიცირებული აუდიტორის სტატუსი მიიღეს



მონაცემთა გაცვლის სააგენტოს 3 ახალი CISA (ინფორმაციული უსაფრთხოების სერტიფიცირებული აუდიტორი) ჰყავს.

ევროკავშირის დამმობილების პროექტის ხელშეწყობით, სააგენტოს თანამშრომლებმა გაიარეს მოსამზადებელი კურსი და მიმდინარე წლის იანვარში წარმატებით ჩააბარეს საკვალიფიკაციო გამოცდა ქ. სტამბულში, რის

შემდეგაც მათ მიენიჭათ ISACA-ს ინფორმაციული უსაფრთხოების სერტიფიცირებული აუდიტორის სტატუსი.

„ჩვენი გუნდისთვის ეს დიდი წარმატებაა. ISACA-ს მიერ სერტიფიცირებული ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტორები IT სფეროში მსოფლიო მასშტაბით სარგებლობენ ნდობითა და აღიარებით. ჩვენ სერიოზულად მოვემზადეთ აღნიშნული გამოცდის წარმატებით ჩაბარებისთვის და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. ჩვენს გუნდში ISACA-ს მიერ სერტიფიცირებული ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტორების ყოლა კიდევ უფრო გაზრდის როგორც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, ისე მისი სტრუქტურის - CERRT.GOV.GE პროდუქტიულობას.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლები აღნიშნული სერტიფიკატის გარდა ასევე ფლობენ არაერთ სხვა სერტიფიკატს, რაც ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია და განაპირობებს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს მაღალ ხაირსხს.

აღნიშნული სამმართველოს წარმომადგენლები სერტიფიცირებულნი არიან (გაგრძელება გვ. 4):



(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 3)

2014 - ISACA – Certified Information Security Manager

2014 - ISACA – Certified Information Systems Auditor

2013 - ITIL Foundation Certificate in IT Service Management

2013 July – ISO 3100 Application of Risk management system

2013 July – ISO 9001 Lead Auditor

2013 July – ISO 22301 Lead Auditor

2012 December - ISO 27001:2005 Information security managements system – Lead Auditor

2012 September - ISO 27001:2005 Information security managements system – Lead Implementer

2012 September - ISO 22301:2012 – Business Continuity Management - Lead Implementer

2012 February - ISO 27001:2005 Information security managements system – Implementer

2012 February - ISO 27001:2005 Information security managements system – Internal Auditor

2012 October - Use case modeling - George Washington University School of Business

## მონაცემთა გაცვლის სააგენტომ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე განხორციელებული კიბერშეტევების შესახებ რეკომენდაციები მოამზადა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე განხორციელებულ კიბერშეტევასთან დაკავშირებით სარეკომენდაციო პაკეტი მოამზადა.

სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფმა (CERT.GOV.GE) დეტალურად შეისწავლა პარლამენტის ვებგვერდზე მომხდარი კიბერშეტევების ფაქტი და მოამზადა შესაბამისი ანგარიში, რომელშიც გაანალიზებულია მომხდარი ინციდენტი და აღწერილია პოტენციურ ინციდენტებთან გამკლავების საშუალებები.

„საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე განხორციელებული კიბერშეტევა გამოწვეული იყო ამავე ვებგვერდზე აღმოჩენილი ე.წ. სუსტი ადგილების არსებობით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო, ასევე ამავე სამინისტროს დაქვემდებარებაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სმარტ ლოჯიკი“ აქტიურად მუშაობენ სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებების ვებგვერდების უსაფრთხოების დონის ამაღლების მიმართულებით. დღეისათვის „სმარტ ლოჯიკი“ ემსახურება ათამდე სამთავრობო სტრუქტურას და ამ მომსახურების შედეგად მათი ვებრესურსები სრულად არის დაცული კიბერშეტევებისგან. საქართველოს პარლამენტმა მისივე სურვილით უარი თქვა „სმარტ ლოჯიკის“ მომსახურებაზე და საკუთარი ონლაინ რესურსების ადმინისტრირება თავად გადაწყვიტა, თუმცა ვინაიდან ეს სფერო საჭიროებს სპეციფიკურ გამოცდილებას, ვერ მოხერხდა ვებგვერდზე არსებული ე.წ. სუსტი წერტილების აღმოფხვრა, რამაც წინაპირობა შექმნა რიგი კიბერშეტევების განხორციელებისთვის. მონაცემთა გაცვლის სააგენტო, ისევე როგორც „სმარტ ლოჯიკი“ მზადაა, პარლამენტის სურვილის შემთხვევაში გაუწიოს მას სრული მომსახურება. ამჯერად კი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ მომზადდა სარეკომენდაციო პაკეტი, რომელიც უკვე გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტს.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

## სემინარი ღია მონაცემების შესახებ



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინიციატივითა და ელექტრონული მმართველობის ხელშეწყობის დამმობილების (Twinning) პროგრამის მხარდაჭერით, ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში **29-30 იანვარს** სასტუმროში „შერატონ მეტეხი პალასი“ გაიმართა **სემინარი ღია მონაცემების შესახებ**.

სემინარის მონაწილეებს გახსნითი სიტყვით მომართეს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე **ირაკლი გვენეტაძემ**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა **რუსუდან მიხელიძემ** და ავსტრიის ფედერალური მთავრობის ციფრული ავსტრიის წარმომადგენელმა **კრისტიან რუპმა**.

სემინარს უძღვებიდნენ ავსტრიისა და გერმანიის ელექტრონული მმართველობისა და ღია მმართველობის სფეროში მოღვაწე ექსპერტები როგორც სახელმწიფო სექტორიდან, ისე არასამთავრობო და საგანმანათლებლო ინსტიტუტებიდან (გაგრძელება გვ.5).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ.4) სემინარის მსვლელობისას მოხსენება ასევე გააკეთეს Transparency International-ისა და Jumpstart Georgia-ს წარმომადგენლებმა.

## კომპანია HP-მ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მხარდაჭერით ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე სემინარი გამართა



კომპანია HP-ის ორგანიზებითა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მხარდაჭერით სასტუმრო Radisson Blue Iveria-ში გაიმართა სემინარი თემაზე - „ინფორმაციული უსაფრთხოების მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში“.


სემინარის მონაწილეებს სიტყვით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ **ალექსანდრე ზურჭულაძემ**, რომელმაც ინფორმაციული უსაფრთხოების მნიშვნელობასა და თანამედროვე ცხოვრებაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლზე გაამახვილა ყურადღება.

სემინარს ესწრებოდნენ საჯარო და სატელეკომუნიკაციო სექტორის წარმომადგენლები.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კომპანია HP და ბრიტანეთის სტანდარტების ინსტიტუტი (BSI) თავის გამოცდილებას გვიზიარებენ ინფორმაციული უსაფრთხოების მნიშვნელობასთან დაკავშირებით. მოხარული ვარ, რომ სემინარის მხარდაჭერით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო, რომელიც წარმოადგენს ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის განვითარებაზე და ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ ორგანოს.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

„21-ე საუკუნეში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გარეშე შეუძლებელია საზოგადოების სრულფასოვანი ცხოვრება. ნებისმიერი სფერო, იქნება ეს სამომხმარებლო ბაზარი, ფინანსური სექტორი, მრეწველობა, ტრანსპორტი თუ სახელმწიფო სტრუქტურა, მჭირდორ არის დაკავშირებული თანამედროვე ტექნოლოგიებთან, ეს კი ნიშნავს რომ თითოეული მათგანი ფლობს ინფორმაციულ აქტივს, რომელსაც კრიტიკული მნიშვნელობა გააჩნია. შესაბამისად აუცილებელია გვექონდეს სათანადო ინფორმაცია თუ როგორ დავიცვათ ეს აქტივები და როგორ ვუზრუნველყოთ ინფორმაციული უსაფრთხოების მაღალი დონე“ - **გიორგი სოფრომაძე**, HP საქართველოს წარმომადგენელი.

## ფეისბუქისზე MY.GOV.GE-ს გვერდი ამოქმედდა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის CERT.GOV.GE-ს ფეისბუქ გვერდი ამოქმედდა. დღეიდან აღნიშნულ გვერდზე რეგულარულად გამოქვეყნდება ინფორმაციული უსაფრთხოებასთან, კიბერ ინციდენტებთან, დაინფიცირებულ საიტებთან, კიბერ შეტევებთან და სხვა მსგავს თემებთან დაკავშირებული ინფორმაცია. მომხმარებელი ასევე გაეცნობა საინტერესო სტატუსს ინფორმაციული უსაფრთხოების ნორმების თემატიკაზე, თუ როგორ უნდა დავიცვათ თავი სხვადასხვა საფრთხეებისგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან ყოველდღიური ურთიერთობების დროს.

“ვინაიდან ფეისბუქი წარმოადგენს მომხმარებელთან ინტერაქციის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას, გადავწყვიტეთ შეგვექმნა CERT.GOV.GE-ს ოფიციალური გვერდი. ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია და ეტაპობრივად ჩვენს ვიზიტორებს შევთავაზებთ

სხვადასხვა საინტერესო ინფორმაციებს გატეხილი და სახიფათო საიტების, გავრცელებული ვირუსების შესახებ. ასევე მივაწვდით ინფორმაციას მსოფლიოსა და საქართველოში კიბერ საფრთხეების სტატისტიკასთან დაკავშირებით. აქვე იქნება არაერთი სასარგებლო სტატია ინფორმაციული უსაფრთხოების იმ ელემენტარული ნორმების შესახებ, რომელთა დაცვა თითოეული ჩვენგანისთვის კომპიუტერთან თუ მობილურ მოწყობილობასთან ურთიერთობისას მეტად მნიშვნელოვანია.” - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

დაგვიემგობრდით: <https://www.facebook.com/my.gov.ge>

იხილეთ ჩვენი საიტები  
[www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge); [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)

მონაცემთა გაცვლის  
 სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2  
 თბილისი 0102, საქართველო  
 ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40  
 ელ.ფოსტა: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის  
 სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ  
 საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ  
 გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება  
 მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში  
 მიუთითოთ **“Subscribe”** ან დაარეგისტრიროთ თქვენი  
 ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე:  
[www.e-government.ge](http://www.e-government.ge)

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს  
 საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ  
 გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება  
 მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში  
 მიუთითოთ **“Unsubscribe”**.